

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სრული შემოსავლების ფინანსური ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	8
2. მომზადების საფუძველი	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	9
3. ფუნქციონირებადი საწარმო	9
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	10
4. სხვა საოპერაციო ხარჯები	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	11
5. ძირითადი საშუალებები	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	12
6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	Error! Bookmark not defined.
7. ფული და ფულის ექვივალენტები	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	13
9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
10. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	14

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

სრული შემოსავლების ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის


შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ამონაგები საოპერაციო საქმიანობიდან	5,484,526	3,299,016
სხვა შემოსავალი	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	5 (1,629,924)	(1,629,924)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	-	(21,369)
სხვა საოპერაციო ხარჯი	4 (725,732)	(720,149)
საოპერაციო მოგება (ზარალი)	3,128,870	927,574
საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)	(2,749,727)	(2,272,076)
სხვა ფინანსური ხარჯი	-	(4,666,158)
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	689,872	9,880
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება	1,788,609	1,513
საოპერაციო მოგება (ზარალი)	2,857,624	(5,999,268)
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი	2,857,624	(5,999,268)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 23 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“-ს

დირექტორი:

დიანა ბერიძე



სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“-ს

დირექტორი:

ქუმსალ სარი




სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	6	34,430,000	34,430,000
ძირითადი საშუალებები	5	66,363,230	67,993,154
		100,793,230	102,423,154
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივები		-	67,547
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,058,426	28,415
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	700	415
		3,059,126	96,377
სულ აქტივები		103,852,355	102,519,530
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		71,579,785	71,579,785
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(10,190,482)	(4,191,214)
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		2,857,624	(5,999,268)
		64,246,927	61,389,303
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	10	16,927,517	24,301,882
		16,927,517	24,301,882
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	10	22,567,848	14,479,914
საგადასახადო ვალდებულებები		79,364	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	30,699	2,348,431
		22,677,911	16,828,345
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		103,852,355	102,519,530

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	71,579,785.00	(4,191,214.00)	67,388,571.00
კაპიტალის წმინდა ზრდა/(შემცირება)	-	-	-
მფლობელობაზე განაწილებული დივიდენდი	-	-	-
მთლიანი სრული ზარალი	-	(5,999,267.59)	(5,999,267.59)
2020 წლის 31 დეკემბერი	71,579,785.00	(10,190,481.59)	61,389,303.41
2021 წლის 1 იანვარი	71,579,785.00	(10,190,481.59)	61,389,303.41
კაპიტალის წმინდა ზრდა/(შემცირება)	-	-	-
მფლობელობაზე განაწილებული დივიდენდი	-	-	-
მთლიანი სრული ზარალი	-	2,857,623.74	2,857,623.74
2021 წლის 31 დეკემბერი	71,579,785.00	(7,332,857.85)	64,246,927.15

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	31.12.2021	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება	2,857,624	(5,999,268)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,629,924	1,629,924
საკუროს სხვაობით გამოწვეული ზარალი/მოგება	(1,788,609)	(1,513)
ფინანსური შემოსავალი	158,686	4,656,278
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:	2,857,625	285,422
ცვლილება მარაგებში	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(3,030,011)	1,099,020
ცვლილება საგადასახადო აქტივში	67,547	-
დივიდენდის გაცემა	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(2,238,368)	(5,840,920)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/გენერირებული ფულადი სახსრები	(2,343,208)	(4,456,478)
მიღებული პროცენტები	-	-
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,343,208)	(4,456,478)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა/გაყიდვა	1,629,924	-
სესხის გაცემა/მიღება	713,569	4,456,598
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
გაცემული სესხების დაფარვა	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	2,343,493	4,456,598
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		
სესხის მიღება	-	-
დაფინანსება	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	285	120
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	415	294
საკუროს ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტზე	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლო	700	415

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრი ბათუმი“ 445504455 დაარსდა 2017 წლის 31 მარტს საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა #1ა სადარბაზო D, სართული 5, ბინა D405

საზოგადოების სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა სააქციო საზოგადოება.

2018 წლის 26 ივნისს საზოგადოებამ განახორციელა სს „მეტრო სითი მოლი“-ის ს/ნ 445522104 100% შერწყმა. საზოგადოების მიერ განთავსებული განთავსებული კაპიტალი შეადგენს 71 579 785 (სამოცდათერთმეტი მილიონ ხუთას სამოცდაცხრამეტი ათას შვიდასოთხმოცდახუთი) ლარს. საზოგადოების აქციები დაყოფილია A და B კლასის აქციებად. A კლასის აქციების ნომინალური ღირებულებაც შეადგენს 1 (ერთ) ლარს, A ჯგუფის აქციათა პროცენტულობა შეადგენს 10%.

B კლასის აქციების ნომინალური ღირებულებაც შეადგენს 1 (ერთ) ლარს, B ჯგუფის აქციათა პროცენტულობა შეადგენს 90%.

აქციონერთა კრებაზე A კლასის 1 აქცია უზრუნველყოფს 15 ხმის უფლებას, ხოლო B კლასის 1 აქცია უზრუნველყოფს 1 ხმის უფლებას.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების მართვა - განკარგვა

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომ - მსს ფასს სტანდარტით) „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს სრულ კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში, კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

4. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აუდიტის მომსახურების ხარჯი	(36,841.64)	(19,707.00)
ბანკის საკომისიო	(50.00)	(31.50)
ფინანსური და საბუღალტრო პროგრამის მომსახურების ხარჯი	(15,254.24)	(9,661.02)
საჯარო რეესტრის მომსახურების ხარჯი	(642.00)	(731.50)
სხვა ხარჯი	(1,162.20)	(1,936.82)
საგადასახადო ხარჯი (ქონების გადასახადი)	(671,781.92)	(688,081.11)
	(725,732.00)	(720,148.95)

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

5. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობა	სხვა და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება			
2020 წლი 1-ლი იანვარი	72,902,190.10	859,403.57	73,761,593.67
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	72,902,190.10	859,403.57	73,761,593.67
2021 წლი 1-ლი იანვარი	72,902,190.10	859,403.57	73,761,593.67
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	72,902,190.10	859,403.57	73,761,593.67
დაგროვილი ცვეთა			
2020 წლი 1-ლი იანვარი	(3,696,805.55)	(441,709.79)	(4,138,515.34)
ცვეთა	(1,458,043.76)	(171,880.72)	(1,629,924.48)
გასვლა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	(5,154,849.31)	(613,590.51)	(5,768,439.82)
2021 წლი 1-ლი იანვარი	(5,154,849.31)	(613,590.51)	(5,768,439.82)
ცვეთა	(1,458,043.50)	(171,880.68)	(1,629,924.18)
გასვლა	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	(6,612,892.81)	(785,471.19)	(7,398,364.00)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბერი	67,747,340.79	245,813.06	67,993,153.85
2021 წლის 31 დეკემბერი	66,289,297.29	73,932.38	66,363,229.67

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

6. არამატერიალური აქტივები

საზოგადოება დაფუძნებულია 2017 წელს, ხოლო, 2018 წელს განხორციელდა რეორგანიზაცია, რის საფუძველზედაც, შერწყმული აქვს სს „მეტრო სითი მოლი“ (ს/ნ 445522104). შერწყმისას მიღებული ქონების ღირებულებამ შეადგინა 1 850 000 ლარი. ასევე წარმოიქმნა არამატერიალური აქტივი "გუდვილი" რომელიც აისახა კომპანიის ანგარიშგებაში თანხით 34,430,000.00 ლარი.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	<u>31 დეკემბერი 2021</u>	<u>31 დეკემბერი 2020</u>
სავაჭრო მოთხოვნები	2,079,161.87	(0.01)
სხვა მოთხოვნები	979,264.09	28,414.55
გადახდილი ავანსები	-	-
	3,058,425.96	28,414.54

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	<u>31 დეკემბერი 2021</u>	<u>31 დეკემბერი 2020</u>
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	640.67	385.58
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	59.13	29.39
	699.80	414.97

სს „მეტრო სითი თრიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	588.00
სავაჭრო ვალდებულებები	30,699.43	1,676,561.00
მიღებული ავანსები	-	671,282.00
სულ მოთხოვნები	30,699.43	2,348,431.00

10. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	სს "თიბისი ბანკი"	სს "მეტრო აგრასია ინვესთმენტ ჯორჯია"	სს "მეტრო ატლას ჯორჯია"	ჯამი
2020 წლის 1 იანვრისათვის	24,261,164.33	4,132,687.02	312,002.32	28,705,853.67
სესხის მიღება	3,277,627.06	3,035,252.54	2,977,981.10	9,290,860.70
სარგებლის დარიცხვა	1,447,052.27	546,219.19	437,278.38	2,430,549.84
სესხის მიმდინარე ნაწილის გადახდა	(1,447,052.27)	(83,000.00)	(115,415.94)	(1,645,468.21)
საკურსო სხვაობა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	27,538,791.39	7,631,158.75	3,611,845.86	38,781,796.00
სესხის მიღება	2,190,194.09	13,632,439.30	7,857,055.17	23,679,688.56
სარგებლის დარიცხვა	1,134,213.14	1,176,831.68	294,959.25	2,606,004.07
სესხის მიმდინარე ნაწილის გადახდა	(18,589,844.15)	(1,183,603.26)	(8,039,167.95)	(27,812,615.36)
საკურსო სხვაობა	1,086,509.35	1,153,982.54	-	2,240,491.89
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	13,359,863.82	22,410,809.01	3,724,692.33	39,495,365.16

სს „მეტრო სითი თრიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. კომპანია თვლის რომ არ არსებობს საქმიანობის დამაბრკოლებელი გარემოებები და გეგმავს ინვესტიციების მოზიდვას.

12. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირველადი ღირებულების მეთოდებით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.5040

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიანი აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტილი ტრანზაქციების ხარჯით, შემდგომ აღიარდება

ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ძირითადი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით არებული ქონების კეთილმოწყობა იცვეთება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურეობის

ვადა (წელი)

მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სასარგებლო მომსახურეობის ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულების და მიღებული თანის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც წარმოიქმნება.

სს „მეტრო სიტი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისაგან. რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისათვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისათვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანაგრიებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წელს პირველი ინაგრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად.

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარაის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელსაც ისინი გაიწია.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისაგან.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. სააქციო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სს „მეტრო სითი თრეიდ ცენტრ ბათუმი“ 445504455

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებით მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.